სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

10213856201225

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251754181

რეგისტრაციის თარიღი

24.12.2025 წ

ნოტარიუსი: ლანა მაჭავარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, შოთა რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
ტელეფონი: (+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაოთხ დეკემბერს მე, ნოტარიუსს **ლანა მაჭავარიანს, ჩემს** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2 მომმართა **ისრაეის მოქალაქე იციკ მოშემ** და მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მან განაცხადა, რომ არ არის **შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“-ის (ს/კ 204496410) ერთპიროვნული დირექტორი.**

მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: **ისრაელის მოქალაქე იციკ მოშემ** (დაბ.: 31.12.1959, ისრაელის მოქალაქის პასპორტის ნომერი: 41795675; ისრაელის პირადი ნომერი: N 0-1422314-3; პასპორტი გაცემული: 12.02.2025 წელს; მოქმედების ვადა: 11.02.2035 წელს; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბესიკის ქუჩა #4).

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება, თანახმად ამონაწერისა განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25136259, 26/09/2025 16:19:03. და დავრწმუნდი, რომ **ისრაეის მოქალაქე იციკ მოშე ნამდვილად შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“-ის (ს/კ 204496410) ერთპიროვნული დირექტორი**

დავადგინე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის გარემოება, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს აღნიშნული მინდობილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც ხმამაღლა წაიკითხა მან, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“-ის** (ს/კ 204496410) დირექტორი, **ისრაელის მოქალაქე იციკ მოშე** (დაბ.: 31.12.1959, ისრაელის მოქალაქის პასპორტის ნომერი: 41795675; ისრაელის პირადი ნომერი: N 0-1422314-3; პასპორტი გაცემული: 12.02.2025 წელს; მოქმედების ვადა: 11.02.2035 წელს; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბესიკის ქუჩა #4).

შემდგომში „მარწმუნებელი“

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ საქართველოს მოქალაქე გიორგი ჟუჟუნაშვილს (დაბ.: 06.03.1979წ. პ/ნ N01030002628);

მასზედ რომ, მან შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“-ის (ს/კ 204496410) **სახელითა და მის მაგივრად, დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად განახორციელოს შემდეგი იურიდიული ქმედებანი:**

შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“ წარმოადგინოს ნებისმიერ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდული პირებთან, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. მათ შორის:

- ქალაქ თბილისის მერიაში/ საკრებულოში
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში;
- თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში;
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში;
- შსს-ს საპატრულო პოლიციაში
- ნებისმიერ სანოტარო ბიურიში
- და/ან სხვა თვითთმმართველ ორგანოებთან

რათა შეუზღუდავად, დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად განახორციელოს კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი მიწის ნაკვეთის **გაერთიანება/გაყოფა/დაყოფა/გამოყოფა/გამიჯვნა.**

ამისათვის, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ფართის ცვლილება/დაკორექტირება როგორც კვადრატულობის, ისე კუნფიგურაციის ნაწილში, შესაბამისად ასახოს და დაადგინოს ახალი წითელი ხაზები, გამოითხოვოს ყველა ინფორმაცია/მოსაზრება და თანხმობა სხვადასხვა (ზემოთ ჩამოთვლილი) ადამინისტრაციული დაწესებულებებიდან და ამისათვის განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება.

ასევე, „მინდობილი პირი“ უფლებამოსილია ზემოთ დასახელებული მიწის ნაკვეთების **გაერთიანება/გაყოფა/დაყოფა/გამოყოფა/გამიჯვნის** შემდგომ, ახალი/საერთო საკადასტრო კოდის მიღების

ერე, უზრუნველოს ნებისმიერი სამშენებლო ნებართვის მიღება და ნებისმიერი საჭირო პროცედურისა და/ან ქმედების განხორციელება.

კერძოდ, მიიღოს/მოიპოვოს ნებისმიერი სამშენებლო ნებართვა, შეიტანოს ცვლილება უკვე არსებულ სამშენებლო ნებართვაში, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტები ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება უკვე არსებულ პროექტში, აზომვით ნახაზებში და ამისათვის აწარმოოს მოლაპარაკებები ზემოთ დასახელებულ ორგანოებთან. ხელი მოაწეროს, შესაბამის განცხადებებს, აწარმოოს დოკუმენტაციის შეგროვება, გაცვლა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. ზეპირი მოსმენის ჩანიშვნის შემთხვევაში, დაესწროს ზემოთ დასახელებული საკითხების განხილვას, როგორც შპს „ემ.სი.აი პროჯექტი“-ის წარმომადგენელი და დაიცვას კომპანიის ინტერესები. დასვას კითხვები, გასცეს პასუხები, მოითხოვოს შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართვა საკითხის განსახილველად, წარადგინოს თავისი მოსაზრებები და არგუმენტები, ჩაიბაროს ნებისმიერი კორესპოდენცია და დოკუმენტაცია, მოითხოვოს დაწყება და მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების პროცესში, მოითხოვოს საპატრულო პოლიციის მიერ მშენებლობის მიზნებისათვის გზების გადაკეტვა და შეათანხმოს შესაბამისი გეგმა, დააყენოს ნებისმიერი თხოვნა, მოთხოვნა და/ან შუამდგომლობა აბსოლუტურად ნებისმიერი მესამე პირის წინაშე და განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული ქმედება სრულად და შეუზღუდავად, რათა დროულად უზრუნველყოს საჭირო ნებართვის მიღება.

ზემოაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია ყველა შესაბამის ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტს, შეთანხმებას შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

მინდობილობა გაცემულა 2025 წლის 24 დეკემბერს და ძალაშია 2027 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით, გადანდობის უფლების გადაცემის გარეშე.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა „მიმნდობ პირს“.
იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო აქრივში თან ერთვის თანართი:
ამონაწერის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25136259, 26/09/2025 16:19:03.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის სანოტარო არქივში (ამონაწერთან ერთად) ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 30 (ოცდაათი) ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დღგ 5 (ხუთი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (თანახმად “საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 39-ე მუხლისა).

შპს „ემ.სი.აი პროჯექტ“-ის (ს/კ 204496410) დირექტორი

იციკ მოშე

საქართველოს ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

შეკერილია და დანომრილია
3 ფურცლად
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი